ოქმი:**ო05. 3725325001**

თარიღი:**21/11/2025**

ოქმი N 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2025 წელი, 19 ნოემბერი

ქ.ოზურგეთი

13:00 -13:30 საათი

თავმჯდომარეობდა: მარიკა ჩხიკვიშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ქ. ხომერიკი, ნ. ნადირაშვილი, ლ. მესხი, ი. დობორჯგინიძე, თ. ქავთარია, ლ. კვაჭაძე, ქ. კვაჭანტირაძე, მ. ცქვიტინიძე, ტ. აროშიძე, გ. სირაძე.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტზე. აღნიშნა, რომ საკრებულოში 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი შემოტანილი იქნა საქართველოს ადგილობრივი თვითმართველობის და საბიუჯეტო კოდექსებით გათვალისწინებულ ვადებში, დადგენილი პროცედურების დაცვით, შემდეგ პროექტის გასაცნობად სიტყვა გადასცა თანამომხსენებელ პ. ჭყონიას. თანამომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები. აღნიშნა 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი განსაზღვრულია 47407,0 ათასი ლარით, ანუ მიმდინარე წლის ბიუჯეტს აღემატება 4007,0 ათასი ლარით, რაც პროცენტულად შეადგენს 9,23%-ს. ზოგადი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ კომისიის წევრებს მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია ცალკეული პრიორიტეტებით გათვალისწინებული პროგრამების, ქვეპროგრამების დაფინანსებაზე. ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ უპასუხა დასმულ შეკითხვებს-ინფრასტრუქტურის დაფინანსების დაგეგმილ შემცირებაზე,

ასვე არაფინანსური აქტივებიდან შემოსავლების შემცირებულ დაგეგმვაზე. პროექტის მიმართ კომისიის სხდომაზე დაფიქსირდა კონკრეტული შენიშვნები, კერძოდ: დასაზუსტებელი ბიუჯეტის პროექტის პრიორიტეტებით განსაზღვრული პროგრამების, ქვეპროგრამების განხორციელების ლოკაციები, პროექტი უფრო მეტად უნდა იყოს გამჭვირვალე, მისაღები და ადვილად გასაგები რიგითი მოქალაქეებისთვის.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება, არსებული კანონმდებლობის შესაბამისდ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი მუდმივმოქმედი კომისიების, ფრაქციების მიერ გამოთქმული შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი განხილვისას დაფიქსირებული შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

მარიკა ჩხიკვიშვილი

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი